საიდ. №70978/03

IR 1147088

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №82-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ლ. კერესელიძე, ს. დუმბაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ივეკო ს.პ.ა.”-ს (IVECO S.p.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №82-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 06 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №229/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „TRAKKER HI-LAND” (საიდ. №70978/03 IR 1147088) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-12 და 37-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 06 თებერვლის №229/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სტილიზებული ნიშანი „TRAKKER HI-LAND” თავის პირველი ძირითადი ნაწილით ჟღერადობით და ვიზუალურად ჰგავს კომპანიის „ჯენერალ მოტორს კომპანი" სახელზე მე–12 კლასის მსგავსი საქონლისათვის „საქპატენტში“ რეგისტრირებულ ლათინური ანბანით ჩაწერილ სიტყვიერ ნიშანს „TRACKER" (რეგ. №24053, რეგ. თარიღი 17/09/2013), რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-12 კლასის საქონლის მიმართ. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ვინაიდან 37-ე კლასის განცხადებული მომსახურება დაკავშირებულია მე-12 კლასის საქონელთან

განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია, „ივეკო ს.პ.ა.” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სიმბოლო შეიცავს რამდენიმე განმასხვავებელ ელემენტს დაპირისპირებულ ნიშანთან მიმართებაში, იგი წარმოადგენს ფანტაზიურ სამ სიტყვიან ჩანაწერს, რომელიც შესრულებულია საკმაოდ ორიგინალური ფორმით, ნიშანში გამოყენებულია ლათინური ანბანის სპეციალური შრიფტის ასოები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ასო „A“ (ეი), რომელიც გვხვდება ორ სიტყვაში „TRAKKER“ და “LAND”, იგი წარმოდგენილია არასრული სახით, კერძოდ აკლია შემაერთებელი ხაზი „–„ სიმბოლოს პირველი სიტყვა წარმოდგენილი სახით, „TRAKKER“, არ არსებობს ლექსიკაში, შესაბამისად მას არა აქვს აზრობრივი მნიშვნელობა. აპელანტის მითითებით, საყურადღებოა მეორე სიტყვა „HI“– (ეიჩ აი), რომელიც ზოგიერთი მომხმარებლისთვის შეიძლება ნიშნავდეს მისალმებას, მაგრამ უმრავლესობისთვის მხოლოდ ასოების კომბინაციაა. განცხადებული ნიშანი წარმოადგენს ლოგოტიპს, ასოები

ერთმანეთისგან დაცილებულია, სიტყვა “HI“ და „LAND“ ერთმანეთთან დაკავშირებულია ტირეთი, შესაბამისად, მხედველობითი თვალსაზრისით, სიმბოლო შეიცავს დასამახსოვრებელ და განმასხვავებელ ელემენტებს. განცხადებული ნიშანი მნიშვნელოვნად განსხვავდება დაპირისპირებულისგან, რომელიც წარმოადგენს ერთსიტყვიან, სტანდარტული ასოებით შესრულებულ ჩანაწერს „TRACKER“, რომელსაც აქვს აზრობრივი დატვირთვა და თარგმანში ნიშნავს „მონადირეს”, „ბუქსირს”. აპელანტის მითითებით, განმასხვავებელი ელემენტების სიმრავლიდან გამომდინარე, განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ არის აღრევემდე მსგავსი დაპირისპირებული ნიშნისა. გარდა ამისა, ორივე დაპირისპირებული ნიშნების მფლობელებს წარმოადგენენ მსოფლიოში საავტომობილო ინდუსტრიის ცნობილი კომპანიები – ივეკო ს.პ.ა. (IVECO S.P.A.), რომელიც ორიენტირებულია ძირითადად სატვირთო ავტომობილებზე, ავტობუსებზე და მსგავსი ტრანსპორტის წარმოებაზე, ხოლო „ჯენერალ მოტორს ლლკ“ (General Motors LLC) ორიენტირებულია ძირითადად მსუბუქი და ჯიპის ტიპის ავტომანქანების წარმოებაზე. ორივე კომპანიის პროდუქცია წარმოდგენილია საქართველოს საავტომობილო ბაზარზე სადისტრიბუციო კომპანია “ომეგას” მიერ, რის დასტურადაც სააპელაციო საჩივარში მითითებულია შესაბამისი ინტერნეტ საიტები. ვინაიდან, წარმოდგენილი ნიშნებით ნიშანდებული საქონელი არ წარმოადგენს ყოველდღიური მომხმარების მარტივ ნივთს და არც ხელმისაწვდომია მომხმარებლის უმრავლესობისათვის, სატვირთო და დიდი ზომის მანქანები მომხმარებელს არ აერევა ერთმანეთში. მაგალითად, შევროლეს მარკის ავტომობილის შეძენის მსურველი ნამდვილად არ შეიძენს „ივეკოს“ სატვირთო ავტომობილს, რადგანაც ავტომობილის შემძენმა/მომხმარებელმა წინაწარ იცის, თუ რომელი მწარმოებლის რა ტიპის მანქანის შეძენა სურს. აპელანტის მითითებით, ორივე კომპანიას შორის დადებულია თანაარსებობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, „ჯენერალ მოტორს ლლკ“–მ გასცა თანხმობა აპელანტის განცხადებულ ნიშნის საქართველოში გამოყენებასა და გავრცელებაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 06 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის

თქმის შესახებ №229/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „TRAKKER HI-LAND” (საიდ. №70978/03 IR 1147088) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული ნიშანი “TRAKKER HI-LAND” (საიდ. №70978/03 IR 1147088) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი “TRACKER” (რეგ. №24053) აღრევამდე მსგავსია, როგორც ვიზუალურად ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. ორივე ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ ნიშანს და შესრულებულია ლათინური ასომთავრული ასოებით. განცხადებული სასაქონლო ნიშნის სტილიზებული ლათინური ასოებით შესრულება ვერ სძენს მას საკმარის განმასხვავებლობას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი “HI-LAND” ხშირად გამოიყენება სხვა კომპანიების მიერ წარმოებული ავტომანქანების სასაქონლო ნიშნებზეც და მიუთითებს ავტომობილის სახეობაზე, კერძოდ მაღალი გამავლობის ავტომობილებზე (მაგ. TOYOTA HIGHLANDER). აქედან გამომდინარე, განცხადებულ სასაქონლო ნიშნის ძირითადი განმასხვავებელი ელემენტია, მისი საწყისი სიტყვიერი ნაწილი “TRAKKER”, რომელიც როგორც ფონეტიკურად, ისე ვიზუალურად ძალიან მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისა “TRACKER”. განცხადებული სასაქონლო ნიშნის საწყისი ნაწილი “TRAKKER” მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისა “TRACKER”, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში

შეყვანის შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ. გადრა ამისა, ნიშნები ქართველი მომხმარებლის მიერ მსგავსად გამოითქმის “თრაქერ ჰაი ლენდ” “თრაქერ”.

მსგავსია ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალიც. როგორც განცხადებული, ისე დაპირიპირებული სასაქონლო ნიშნის მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს სატვირთო ავტომობილებს. აპელანტი ასევე მოითხოვს განცხადებული სასაქონლო ნიშნის გავრცელებას 37-ე კლასის იმ მომსახურების მიმართ, რომელიც დაკავშირებულია მაღალი გამავლობის სატვირთო ავტომობილებისათვის სარემონტო და სამონტაჟო მომსახურების გაწევასთან. იქიდან გამომდინარე, რომ, როგორც საქონელი, ისე მომსახურება უკავშირდება სატვირთო ავტომობილებს, სახეზეა განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვლის მსგავსება, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „TRAKKER HI-LAND” (საიდ. №70978/03 IR 1147088) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ივეკო ს.პ.ა.”-ს (IVECO S.p.A.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 06 თებერვლის №229/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	მ. ფრუიძე
წევრები:	ს. დუმბაძე
	ლ. კერესელიძე